პროლეტარებო ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

ᲚᲔᲚᲝ

№ 106 (3590)

1968 წ. 1 ივნისი, შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XV მსოფლიო ზაფხულის ოლიმპიადა
თბილისი 1968 წ.

სურათზე: სსრ კავშირის ექსჩემპიონი ნანა ალექსანდრია ყვავილების დღეს.

ფოტო ვ. გენგიურისა.

საამაყო წარმატება

XV ტური. ალექსანდრია — ხუბულური 1:0, კაკაბაძე — პოლიქრონიადე 0:1, კახაბრიშვილი — ზატულოვსკაია 0,5:0,5, სკეგინა — ვრეკენი 1:0, ხუციშვილი — ნიუნბერტი 0,5:0,5, ჩაიკოვსკაია — კობაიძე 0,5:0,5, რაძიკოვსკა — სანაძე 0:1, ვერეცი — ერეტოვა 0,5:0,5.

მხოლოდ 24 სვლა დასჭირდა ერთპიროვნულ ლიდერს ალექსანდრიას ტურნირში გამარჯვების განმტკიცებისთვის.

II ადგილს ზატულოვსკაია და ჩაიკოვსკაია ეცილებოდნენ ერთმანეთს. ჩაიკოვსკაიამ შედარებით იოლად მიაღწია ყაიმს, ვინაიდან კობაიძე „საამრად" არ იყო განწყობილი. ზატულოვსკაიას წაგების საფრთხე ემუქრებოდა. კახაბრიშვილი ნაადრევად შეუთანხმდა ყაიმზე.

სწრაფი და მოულოდნელი იყო კაკაბაძის მარცხი. მან ჯერ ხარისხი დაკარგა, მერე ფიგურას აგებდა, როცა 23-ე სვლაზე ბრძოლა შეწყვიტა.

პირველი გამარჯვება იზეიმა სანაძემ. საინტერესოა აღინიშნოს, რომ შეჯიბრების მონაწილეთაგან მხოლოდ ნიუნბერტს არც ერთი შეხვედრა არ მოუგია.

ტურნირი დამთავრდა.

• • •

საქართველოს ქალთა V საერთაშორისო ტრადიციული ტურნირი, როგორც სხვა დროს, ახლაც ჩვენი მოჭადრაკეების გამარჯვებით აღინიშნა. ეს შემთხვევითი როდია. ნონა გაფრინდაშვილმა და მისმა კოლეგებმა საფუძველი ჩაუყარეს ამ ტრადიციას, რომელსაც არც ახალმა თაობამ უღალატა.

ალექსანდრიამ იმედი გაგვიმართლა. იგი ყველა შეხვედრაში უშეღავათოდ იბრძოდა და ამიტომაც ყველაზე მეტი პარტია (9) მოიგო.

კარგად ითამაშა ჩაიკოვსკაიამ, რომელმაც უკვე მესამედ მოიპოვა II ადგილი ჩვენს ტრადიციულ ტურნირებში. იგი სამართლიანადაა აღიარებული ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ უძლიერეს მოჭადრაკედ.

ზატულოვსკაია ალბათ უკმაყოფილოა, რომ ფინიშთან პირველი ვერ მივიდა. მაგრამ ამაში მხოლოდ თვითონ არის დამნაშავე. ბევრ შეხვედრაში იგი ზედმეტად მშვიდობიანი გახლდათ: 10 პარტია ყაიმით დაანთავრა!

კობაიძე მიღწეულით გახარებულია, თუმცა მეტი შეეძლო. როგორც ჩანს, მისი მიზანი ამჯერად მხოლოდ სპორტის ოსტატის ნორმატივის შესრულება იყო.

უცხოელი მოჭადრაკეები პრიზიორებში ვერც მოხვდნენ. ეს მათ სისუსტეზე კი არა, ჩვენი მოჭადრაკეების სიძლიერეზე მეტყველებს. უცხოელი ოსტატები სიხარულით ჩამოდიან საქართველოში, რათა ჩვენებთან პაექრობაში გამოცდილება გაიმდიდრონ. ამან, რა თქმა უნდა, ავტორიტეტი შეუქმნა ჩვენს ტრადიციულ ტურნირებს.

მონაწილეებმა 120 პარტია გაითამაშეს. ეს შემდგომი კვლევისა და მეცადინეობის მდიდარი მასალაა. მით უმეტეს, რომ ამ ბოლო ხანს ჩვენს მოწინავე მოჭადრაკეებს მუშაობის შესანიშნავი პირობები შეუქმნეს. საქართველოს სპორტკავშირის უმაღლესი სპორტული დოსტატების რესპუბლიკურ სკოლასა და თბილისის ახალგაზრდობის სპორტულ სკოლაში ჭადრაკის განყოფილებები გაიხსნა. აქ მიწვეული არიან გამოცდილი მწვრთნელები (ბ. გურგენიძე, მ. შაშოვი და სხვ.). ისინი უკვე ერთი წელია მუშაობენ ისეთ მზარდ მოჭადრაკეებთან, როგორიც არიან ნ. ალექსანდრია, ც. კობაიძე, ც. კახაბრიშვილი, ლ. კოროშინაძე, ნ. ჩიქობავა, ე. უბილავა, ა. ბოკუჩავა და სხვ.

თ. გიორგაძე.



სურათზე: ტურნირის პრიზიორები ტ. ზატულოვსკაია (მარცხნივ) და ა. ჩაიკოვსკაია თამაშის დროს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

გუშინწინ შ. რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზში საზეიმოდ დაიხურა V ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი. საღამო გახსნა საორგანიზაციო კომიტეტის წევრმა, ორჯონიკიძის სახელობის პარტიის რაიკომის მდივანმა ვ. მოსულიშვილმა. ტურნირის შედეგებზე ილაპარაკა მთავარმა არბიტრმა ლ. წეროძემ.

მონაწილეებს გადაეცათ დედაქალაქის საწარმო-დაწესებულებების, ჟურნალ-გაზეთების რედაქციებისა და გამომცემლობების სპეციალური პრიზები.

მოჭადრაკეთა სახელით ილაპარაკეს ნ. ალექსანდრიამ, ე. პოლიქრონიადემ და ც. კობაიძემ.

ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

			1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	ჯამი	ადგილი
ნ.ალექსანდრია	სსრკ	1		½	0	0	1	½	1	1	1	½	1	1	1	½	1	1	11	I
ტ.ზატულოვსკაია	სსრკ	2	½		½	½	½	½	½	½	1	½	½	1	½	1	1	1	10	II-III
ა.ჩაიკოვსკაია	სსრკ	3	1	½		½	1	1	½	½	½	0	1	1	0	1	½	1	10	II-III
ც.კობაიძე	სსრკ	4	1	½	½		½	0	0	½	1	1	½	½	½	1	1	1	9½	IV-V
ნ.სკეგინა	სსრკ	5	0	½	0	½		1	½	0	½	1	1	1	1	½	1	1	9½	IV-V
ჰ.ვრეკენი	პოლონ	6	½	½	0	1	0		½	1	0	½	1	0	1	1	½	1	8½	VI-VII
ე.პოლიქრონიადე	რუმინ	7	0	½	½	1	½	½		1	0	½	½	½	1	1	½	½	8½	VI-VII
ე.ჭკუასაძე	სსრკ	8	0	½	½	½	1	0	0		½	1	1	½	½	½	1	½	8	VIII-IX
ჰ.ერეტოვა	ჩეხოს.	9	0	0	½	0	½	1	1	½		½	½	1	1	½	½	½	8	VIII-IX
ვ.ვერეცი	უგვრ.	10	½	½	1	0	0	½	½	0	½		0	½	½	1	1	1	7½	X
ც.ციხაგრიშვილი	სსრკ	11	0	½	0	½	0	0	½	0	½	1		½	1	½	½	1	6½	XI
ნ.ხუბულური	სსრკ	12	0	0	0	½	0	1	½	½	0	½	½		0	1	½	1	6	XII
ა.რაძიკოვსკა	პოლონ	13	0	½	1	½	0	0	0	½	0	½	0	1		0	1	0	5	XIII
თ.ხუციშვილი	სსრკ	14	½	0	0	0	½	0	0	½	½	0	½	0	1		½	½	4½	XIV
ე.ნიუნბერგი	გდრ	15	0	0	½	0	0	½	½	0	½	0	½	½	0	½		½	4	XV
მ.სანაძე	სსრკ	16	0	0	0	0	0	½	½	½	0	0	0	1	½	½			3½	XVI

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

„Ა" ᲯᲒᲣᲤᲘ

30 მაისს გამართულმა მატჩებმა ასეთი შედეგები მოგვცა: „ტორპედო" (ტაგანროგი) — „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი) 1:0, „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) — „ვოლგა" (ულიანოვსკი) 1:1, „თერგი" (გროზნო) — „ვოლგარი" (ასტრახანი) 1:2, „დინამო" (მახაჩყალა) — „მეშახტე" (ტყიბული) 1:0, „ფოლადი" (სუმგაითი) — „დინამო" (ბათუმი) 1:0, „ურალმაში" (სვერდლოვსკი) — „მეტალურგი" (მაგნიტოგორსკი) 2:0, „სტროიტელი" (უფა) — „სპარტაკი" (იოშკარ-ოლა) 0:0, „ზენიტი" (იჟევსკი) — „ვოლგა" (გორკი) 0:2, „ზვეზდა" (პერმი) — „რუბინი" (ყაზანი) 1:1.

„Ბ" ᲯᲒᲣᲤᲘ

ამავე დღეს გაიმართა „ბ" კლასის რსფსრ-ს III და IV ზონების გუნდების შეხვედრები: „არაზი" (ნახიჩევანი) — „უროჟაი" (სვეტლოგრადი) 1:2, „დაშკინი" (ზაკათალა) — „ურალანი" (ელისტა) 1:0, „ტექსტილშჩიკი" (მინგეჩაური) — „უროჟაი" (ალექსანდროვსკაია) 5:4, „უროჟაი" (სლავიანსკი) — „ხიმიკი" (ნევინომისკი) 2:1, „ხიმიკი" (ბალაკოვო) — „შრომითი რეზერვები" (კურსკი) 0:0, „ტრუდი" (ენგელსი) — „სპარტაკი" (ორიოლი) 1:1, „ენერგია" (ვოლჟსკი) — „სპარტაკი" (ბელგოროდი) 0:0, „მაღაროელი" (ჭიათურა) — „მერცხალი" (მახარაძე) 0:0, „სევანი" (ოქტემბერიანი) — „უროჟაი" (გროზნო) 4:0, „ლორი" (კიროვაკანი) — „გურია" (ლანჩხუთი) 1:0, „ლერნაგორცი" (კაფანი) — „მაშუკი" (პიატიგორსკი) 0:2, „არაქსი" (ეჩმიაძიანი) — „ირისთონი" (მოზდოკი) 2:1, „სპარტაკი" (კისლოვოდსკი) — „უროჟაი" (კრიმსკი) 1:1.

სხვა შეხვედრების შედეგები იხ. მე-3 გვ.

მოზარდთა შეჯიბრება

გრძელდება „ა" და „ბ" კლასების ოსტატთა გუნდებთან არსებული მოსამზადებელი ჯგუფების რესპუბლიკური ტურნირი.

I ზონა

„კახეთი" (თელავი) — „ლოკომოტივი" (თბილისი) 0:3, „ალაზანი" (გურჯაანი) — მწვრთნელთა სკოლა (თბილისი) 2:3, „ქარიშხალა" (თბილისი) — „დილა" (გორი) 0:2.

II ზონა

„დინამო" (ბათუმი) — „მერცხალი" (მახარაძე) 3:0, „მაღაროელი" (ჭიათურა) — ახალგ. საფეხბ. სკოლა (ბაგრა) 1:0, „ტორპედო" (ქუთაისი) — „შუქურა" (ქობულეთი) 8:0, „დინამო" (სოხუმი) — „გურია" (ლანჩხუთი) 5:0.

• • •

ზუგდიდის „ენგურს" წაგება ჩაეთვალა ტყიბულის „მეშახტესთან" შეხვედრაში გამოტოვებული ტურის მატჩი თბილისის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის გუნდსა და თბილისის „ლოკომოტივს" შორის დამთავრდა ფრედ — 3:3.

3 ჩემპიონი და გუნდური გამარჯვება

გოლგოგრადში დამთავრდა „დინამოს“ ახალგაზრდა სამბიტლოთა საკავშირო პირველობა, რომელშიც მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის 110-მდე ათლეტი ებრძოდა.

გუნდურ ჩათვლაში თავიდანვე დაწინაურდნენ მოსკოვის, უკრაინის, რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს ნაკრები კოლექტივები, რომლებმაც წარმატებით იასპარეზეს ნახევარფინალებში და გადამწყვეტ ბრძოლებში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს.

ქვემსუბუქი წონის სამბისტთა ფინალში ორი ჩვენი თანამემამულე იბრძოდა — შ. ფირიაშვილი და თ. დავითაშვილი. ჩემპიონის წოდება ფირიაშვილმა მოიპოვა. მსუბუქ წონაში I ადგილი დაიკავა ასევე საქართველოს წარმომადგენელმა ს. ბადალიანმა, რომელმაც გადამწყვეტი ბრძოლა დიდი უპირატესობით მოუგო მოსკოველ ა. რასოლოვს. საშუალო წონაში ჩემპიონი გახდა ე. ნინიაშვილი, რომელმაც ყველა შეხვედრა თავის სასარგებლოდ დამთავრა.

წარმატებით იასპარეზეს, აგრეთვე, ვ. ხიხაურმა და თ. დავითაშვილმა, რომლებმაც II საპრიზო ადგილები დაიკავეს.

პირად ჩათვლაში წარმატებამ საქართველოს სამბისტებს გუნდურ ჩათვლაშიც მოუტანა გამარჯვება. ჩვენებმა უკან ჩამოიტოვეს მთავარი ფავორიტები და მეორედ დაიპყრეს ჩემპიონის თასი.

ქ. ნინიაშვილი,
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

ფიზიკური კულტურა ჰიპერტონიული დაავადების დროს

დილის ჰიგიენური ტანვარჯიშის სანიმუშო კომპლექსი ჰიპერტონიის მეორე სტადიით დაავადებულთათვის

პირველი ვარჯიში. საწყისი მდგომარეობა: დაჯექით სკამზე და დინჯი შემოიდგით (სურ. 1).

შესრულება: 1-2. იდაყვები გაიტანეთ უკან, მკერდი გადაშალეთ და თავი უკან გადასწიეთ (სურ. 2). 3-4. დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას.

მითითებები: ვარჯიში შეასრულეთ ნელ ტემპში. გაიმეორეთ 4-6-ჯერ. იდაყვების უკან გადატანისას ჩაისუნთქეთ, საწყის მდგომარეობაში დაბრუნებისას ამოისუნთქეთ.

მეორე ვარჯიში. საწყისი მდგომარეობა: დაჯექით სკამზე, ხელებით დაეყრდენით სკამის საჯდომის გვერდით კიდეებს (სურ. 3).

შესრულება: 1. მოხრილი მარჯვენა ფეხი ასწიეთ ზევით (სურ. 3). ორზე (და ყოველ მომდევნო თვლაზე) შეცვალეთ ფეხების მდგომარეობა.

მითითებები: ვარჯიში შეასრულეთ საშუალო ტემპში 20-25 წამის განმავლობაში.

მესამე ვარჯიში. საწყისი მდგომარეობა: დაჯექით სკამზე, ხელები თავისუფლად ჩამოუშვით.

შესრულება: 1. მკლავები გაიტანეთ წინ (სურ. 4). მკლავები გაიტანეთ განზე და ნებები ამოაბრუნეთ. 3. მკლავები ასწიეთ (სურ. 5). 4. მკლავები განზე გატანით დაუშვით საწყის მდგომარეობაში.

მითითებები: მკლავების აწევისას თავი უკან გადასწიეთ (უყურეთ ხელებს). ვარჯიში შეასრულეთ საშუალო ტემპში. გაიმეორეთ 4-6-ჯერ.

მეოთხე ვარჯიში. საწყისი მდგომარეობა: დაჯექით სკამზე და დინჯი შემოიდგით (სურ. 6).

შესრულება: 1. ზეტანი მოაბრუნეთ მარჯვნივ (სურ. 7). 2. დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას. 3-4. შეასრულეთ იგივე მეორე მხარეს.

მითითებები: ვარჯიში შეასრულეთ ნელ ტემპში. გაიმეორეთ 4-6-ჯერ. ზეტანის მობრუნებისას ჩაისუნთქეთ, საწყის მდგომარეობაში დაბრუნებისას ამოისუნთქეთ.

მეხუთე ვარჯიში. საწყისი მდგომარეობა. დაჯექით სკამზე, მკლავები თავისუფლად ჩამოუშვეთ (სურ. 8).

შესრულება: 1. მარცხენა ფეხი წინ გამართეთ და მარჯვენა მკლავი წინ გაიტანეთ (სურ. 9). 2. დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას. 3-4. შეასრულეთ იგივე მეორე მხარეს.

მითითებები: ვარჯიში შეასრულეთ საშუალო ტემპში. გაიმეორეთ 4-6-ჯერ. ფეხის გამართვისას და მკლავის წინ გატანისას ამოისუნთქეთ, საწყის მდგომარეობაში დაბრუნებისას ჩაისუნთქეთ.

მეშვიდე ვარჯიში. საწყისი მდგომარეობა: დაჯექით სკამზე, ხელები ჩამოუშვით (სურ. 8).

შესრულება: 1. მოხრილი მარჯვენა ფეხი ასწიეთ და კოჭ-წვივის სახსრით შემოიდგით მარცხენა ფეხის მუხლზე. ხელები წვივს მოავლეთ (სურ. 10). 2. დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას. 3-4. შეასრულეთ იგივე მარცხენა ფეხით.

მითითებები: ვარჯიში შეასრულეთ საშუალო ტემპში. გაიმეორეთ 4-6-ჯერ. ფეხის მუხლზე შემოდგმისას ამოისუნთქეთ, საწყის მდგომარეობაში დაბრუნებისას ჩაისუნთქეთ.

მეშვიდე ვარჯიში. საწყისი მდგომარეობა: დაჯექით პირაღმა, თავი ბალიშს ან რამე შემაღლებულ რბილ საყრდენს დააბჯინეთ, მკლავები დაიჭირეთ ტანის გასწვრივ ნებების იატაკზე დაბჯენით (სურ. 11).

შესრულება: 1. მარჯვენა ფეხი ღრმად მოხარეთ. 2. დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას. 3-4. შეასრულეთ იგივე მეორე ფეხით.

მითითებები: ვარჯიში შეასრულეთ საშუალო ტემპში. გაიმეორეთ 4-6-ჯერ. ფეხის მოხრისას ამოისუნთქეთ, გამართვისას ჩაისუნთქეთ.

მერვე ვარჯიში. საწყისი მდგომარეობა: დაჯექით სკამზე და დინჯი შემოიდგით (სურ. 12).

შესრულება: 1. ზეტანი დახარეთ მარჯვნივ (სურ. 13). 2. დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას. 3-4. შეასრულეთ იგივე მეორე მხარეს.

მითითებები: ვარჯიში შეასრულეთ საშუალო ტემპში. გაიმეორეთ 4-6-ჯერ. ზეტანის დახრისას ამოისუნთქეთ, საწყის მდგომარეობაში დაბრუნებისას ჩაისუნთქეთ.

მეცხრე ვარჯიში. საწყისი მდგომარეობა: დაჯექით სკამზე, მკლავები თავისუფლად ჩამოუშვით.

შესრულება: 1. ზეტანისა და მკლავების მოდუნებით ზეტანი მარჯვნივ მოაბრუნეთ. ერთდროულად, მოდუნებული მკლავები ოდნავ მოხარეთ და მარჯვნივ აიქნიეთ.

მითითებები: ვარჯიში შეასრულეთ ნელ ტემპში. გაიმეორეთ 6-8-ჯერ.

დ. უვანია,
საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკი.

დასაწყისი იხ. „ლელო“ № 82.



მასწავლებლის სლოვნას

ბარბაზი ფეხზე იდგა. საზეიმოდ უდერდა საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის ჰიმნი...

ჩვენ ერთად ვიდექით. უცებ ხელზე მისი ხელი ვიგრძენი, მაგრად მიჭერდა და თვითონ არ გრძნობდა ამას.

გაკვირვებულმა შევხედე, არც ეს უგრძვნია. თვალები უბრწყინავდა. უცებ ხელი გამიშვა და მხოლოდ ეს მითხრა:

— დღეს ბედნიერი ვარ.

ჰიმნი დასრულდა. პროექტორების შუქზე საქართველოს დროშა ამაყად ფრიალებდა. ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე იდგნენ გუნდის კაპიტანის ჯემალ ფრიდონაშვილის მეთაურობით. დიდებული სურათი იყო.

— ჩემს დაბადების დღეს ქართველ ტანმოვარჯიშეთა დიდი ხნის ნანატრი გამარჯვება დაემთხვა, — თქვა ჩემს გვერდით მდგომმა.

ეს იყო 5 წლის წინ, სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადაზე, როცა ჩვენმა ტანმოვარჯიშეებმა ძირეულ კოლექტივებს შორის ჩემპიონობა დაისაკუთრეს.

ჩემს გვერდით საქართველოს ტანვარჯიშის ფედერაციის თავმჯდომარე, სპორტის დამსახურებული ოსტატი ნიკოლოზ მეიფარიანი იდგა.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ცოცხლებში აღარ არიან არც ჯემალ ფრიდონაშვილი, რომელიც

ხულ ახალგაზრდა დაიღუპა და არც ქართული ტანვარჯიშის ერთ-ერთი ფუძემდებელი ნიკოლოზ მეიფარიანი, მაგრამ იმ დღეს ნანახი და განცდილი დღესაც მახსოვს.

ნიკოლოზ მეიფარიანის სახელი მჭიდროდაა დაკავშირებული ქართული ტანვარჯიშის განვითარებასთან. გიორგი ეგნატაშვილის მოწაფე და უახლოესი მეგობარი, იგი ბოლომდე ერთგული დარჩა საყვარელი საქმისა. ქართველ ტანმოვარჯიშეთა ლიდერი, შემდეგში საუკეთესო მწვრთნელი და პედაგოგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ფიზკულტურის ინსტიტუტის ტანვარჯიშის კათედრასა და ტანვარჯიშის რესპუბლიკურ ფედერაციას.

უაღრესად სპეტაკს, პატიოსანს და საქმისთვის თავდადებულს 1964 წელს საქართველოს სპორტულმა საზოგადოებრიობამ დაბადებიდან 60 წლისა და პედაგოგიური მოღვაწეობის 40 წლისთავი ზეიმით გადაუხადა.

ქართველმა ტანმოვარჯიშეებმა გულით გამოიტირეს მისი წასვლა ამ ქვეყნიდან და ღრმა პატივისცემის ნიშნად გრანიტის ქვა დაადგეს საფლავზე.

დღეს ნიკოლოზ მეიფარიანის დაბადების დღის აღსანიშნავად ფიზკულტურის ინსტიტუტის ტანვარჯიშის კათედრის ოთახში მეგობრებმა და მოწაფეებმა მისი გადიდებული პორტრეტი დაკიდეს. დიდი არაფერი მომხდარა, მაგრამ ეს კაცური კაცის კიდევ ერთხელ მოგონება იყო.

გ. უირმელაშვილი,
ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტის მასობრივ სახეობათა ფაკულტეტის დეკანი, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.

„ლელოს“ ფურცლიდან ყაზბეგიდან ვაჩნაძე

გაღმა-გამოღმა ზანათი ერთ-ერთი დიდი სოფელია აბაშის რაიონში. ერთ დროს ზანათელებს კარგად მოწყობილი სპორტული მოედნები ჰქონდათ, ფიზკულტურული მუშაობაც სათანადო დონეზე იდგა, მაგრამ ახლა სულ სხვა სურათია. საბჭოთა მეურნეობის ფიზკულტურის კოლექტივში სექციები მხოლოდ ქალალდზე არსებობს, ფეხბურთის მინდორზე კი პირუტყვი დათარეშობს.

რ. ჭანტურია.

აბაშის რაიონი.

„ლელოს“ ფურცლიდან ვაკე-საბურთალო

„უცხო შინაურები“ და „ტრაქტორი... საჯარიმო მოედანზე“

ჩვენი გაზეთის 11 და 18 აპრილის ნომრებში ამ სათაურებით დაბეჭდილ წერილებში ნათქვამი იყო, რომ სოფ. კეხიჯვრისა და სოფ. ზემო ხვედურეთის კოლმეურნეობებისა და სასოფლო საბჭოების ხელმძღვანელები უპასუხისგებლოდ ეკიდებიან ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებას.

როგორც საქართველოს კომპარტიის ქარელის რაიკომის მდივანი ი. ტოლიაშვილი გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. რაიკომის ბიურომ ამ საკითხზე მსჯელობის შემდეგ სოფ. კეხიჯვრისა და სოფ. ზემო ხვედურეთის კოლმეურნეობათა გამგეობების თავმჯდომარეებს ნ. ლომიტაშვილსა და კ. მარღიშვილს პარტიული სასჯელი დაადო. დაისაჯნენ შესაბამისი პარტიული ორგანიზაციების მდივნები გ. თვაური და თ. თათანაშვილი, სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეები ბ. გოჩაშვილი, შ. კავსაძე და „კოლმეურნის“ რაისაბჭოს თავმჯდომარე მ. ხარატაშვილიც.

ამჟამად სპორტული მოედნების საქმე მოგვარდა. შერჩეულია ხელფასით მომუშავე მეთოდისტებიც და ყველა საჭირო ღონისძიება თანმიმდევრულად ხორციელდება.

„ლელოს“ ფურცლიდან ბაკურიანი

ზუგდიდი

საჭადრაკო კლუბში ათ დღეს გასტანა ქალაქის საშუალო სკოლების მოსწავლეთა გუნდურმა პირველობამ ჭადრაკში. I ადგილი დაიკავა მე-6 სკოლის კოლექტივმა. II ადგილზე გავიდნენ 1-ლი, III — მე-8 სკოლის მოჭადრაკეები. ცალკეულ დაფებზე თავი ისახელეს: ბიჭებში ო. ბენდელიანმა და გ. ხუბუამ (ორივე — მე-8 სკოლა), გოგონებში — გ. კუტალიამ (მე-6 სკოლა) და დ. გულორდავამ (1-ლი სკოლა).

გ. ალუბაია.

თელავი

ქალაქის ვაჟთა საჭადრაკო ჩემპიონატში I-II ადგილები გაიყვეს ჰ. კირვალიძემ და ე. ხუციშვილმა. დამატებით მატჩში გაიმარჯვა კირვალიძემ.

გ. ელიოზიშვილი.

ვანი

ჩატარდა რაიონის სოფლის სკოლების მოსწავლეთა პირველობა მძლეოსნობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა საშუალო და რვაწლიანი სკოლების 28 გუნდის 426 სპორტსმენი. I ადგილი დაიკავა ვანის კიროვის სახელობის საშუალო სკოლის კოლექტივმა. II ადგილზე გავიდა ისრითის, ხოლო III — ვანის გ. ტაბიძის სახელობის სკოლის გუნდი.

ი. სანადირაძე,
„კოლმეურნის“ რაისაბჭოს თავმჯდომარე.

მოგება მაინც ღირსეულს ვქონდა

თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 30 მაისი.

„ლოკომოტივი“ (თბილისი) — „შირაკი“ (ლენინაკანი) 3:1 (0:0).

„ლოკომოტივი“: გრძელიშვილი, პანოვი, ონიანი, ფრიდმანი, გეგეჭკორი, ძაგანია (გვასალია), შმვაცაბაია, ჭელიძე, მაზიაშვილი, ლოლობერიძე (მიქაშავიძე), მელიქიძე.

„შირაკი“: სკეპიანი, პალოიანი, მეხაკიანი, ავეტისიანი, სარჭისიანი, მრიანი, კარაპეტიანი, მელქონიანი, გალსტიანი, ბარსეგიანი, იშტიანი.

მსაჯი: ნ. მამედ-ზადე (კიროვაბადი).

დუბლიორები — 0:0.

სათაო და საეჭვო ამ მატჩის დასაწყისში მაყურებლისთვის თითქოს არაფერი იყო გარდა ერთისა: რამდენი ხანი გაუძლებდა „შირაკი“ თბილისელთა იერიშებს და რა ანგარიშით დამთავრდებოდა „ლოკომოტივის“ თავდასხმისა და სტუმრების დაცვის ბრძოლა.

და, წარმოიდგინეთ, ლენინაკანელთა დაცვამ საკმაოზე მეტ ხანს გაუძლო მეტოქის იმ მძლავრ შტურმს, რომელსაც ადრევე, ჯერ კიდევ პირველ ტაიმში უნდა მოეტანა სავსებით დამსახურებული და უდავო გამარჯვება რკინიგზელთათვის.

ტაიმი გავიდა ისე, რომ ლენინაკანელებს ერთხელაც არ „გაუხედიათ“ მასპინძელთა კარისკენ. ერთადერთი მათი თავდამსხმელი გალსტიანი იყო, რომელიც რამდენადმე მაინც მოქმედებდა თავისი პირდაპირი ფუნქციების შესაბამისად, დანარჩენები კი ერთიანად უკან იყვნენ დაწეული და საკუთარი საჯარიმო მოედნის სიახლოეს იბრძოდნენ, სადაც ლოკომოტიველებს იერიში იერიშზე მიეჭონდათ. თვითეულ თბილისელს — თავდამსხმელსაც, ნახევარმცველსაც და მცველსაც კი შეეძლო დასაწყისი მიეცათ ანგარიშისთვის, მაგრამ გადაშწყვეტ მომენტებში ისინი ერთობ არასწორად თამაშობდნენ, პატარა ფართობზე ჯგუფდებოდნენ და გარდა იმისა, რომ ერთმანეთს უშლიდნენ ხელს, მეტოქესაც „ეხმარებოდნენ“ კარის დაცვაში.

კურიოზული გამოდგა მეორე ტაიმი. ცვლილება თამაშში არ მომხდარა. პირიქით, თბილისელებმა კიდევ უფრო გააძლიერეს შტურმი და თითქმის დასახლდნენ „შირაკის“ კართან, როცა (ეს მოხდა 68-ე წუთზე) ბარსეგიანმა მიიღო შორიდან მოგერიებული ბურთი, გადალახა მინდვრის ნახევარი და ფლანგიდან ძლიერი დარტყმით გაიტანა გოლი — 1:0.

აი, ასე წარიმართა მატჩი. მისი დამაჯერებელი ანგარიშით მოგების ნაცვლად ლოკომოტიველები მარცხის საშიშროების წინაშე აღმოჩნდნენ. კარგი, რომ გუნდმა შეძლო ძალთა მობილიზება და უპანიკოდ განაგრძო შეტევა, რამაც, ბოლოსდაბოლოს, საათანადო ნაყოფიც გამოიღო. ჯერ მაზიაშვილმა გაქვითა ანგარიში მელიქიძის გადაცემის შემდეგ, მერე მიქაშავიძემ დააწინაურა გუნდი და საბოლოოდ მანვე განამტიცა „ლოკომოტივის“ გამარჯვება.

რ. ქორიძე.

ფეხბურთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ა“ ჯგუფი

სსრ კავშირის პირველობა

საქართველოს ჯიუტველიგა

გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები.

● „სულორი“ (ვანი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 1:2. მსაჯი ვ. გოგაშვილი (თბილისი).

სტუმრებმა შეტევით დაიწყეს თამაში და პირველ წარმატებას უკვე მე-2 წუთზე მიაღწიეს (ცინცაძე). გავიდა კიდევ ცოტა ხანი და გოგუაძის დარტყმის შემდეგ სტუდენტები უფრო დაწინაურდნენ — 2:0. „სულორმა“, მართალია, ამის შემდეგ შეძლო ინიციატივის ხელში აღება, მაგრამ სტუმართა კარში მხოლოდ ერთი ბურთი გაიტანა.

● „ბახმარო“ (ჩოხატაური) — „არაგვი“ (მცხეთა) 2:0. მსაჯი ო. შურვანიძე (ბათუმი).

● „ისანი“ (თბილისი) — „ეერო“ (გალი) 0:1. მსაჯი ვ. შახნაზაროვი (თბილისი).

პირველ ტაიმში შექმნილი რამდენიმე ხელსაყრელი მდგომარეობა თბილისელებმა ვერ გამოიყენეს, ხოლო შესვენების შემდეგ, 70-ე წუთზე მექვაბიამ კარგად გამოიყენა „ისნის“ კართან მოწოდებული კუთხური და ზუსტი თავური დარტყმით გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს.

● „მშენებელი“ (სიღნაღი) — „ქართლი“ (გორის რაიონი) 3:1. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).

ანგარიში სიღნაღელებმა გახსნეს 30-ე წუთზე (ზურაბაშვილი), რასაც მოაყვა რევაზიშვილის საპასუხო გოლი — 1:1. შემდგომში „მშენებელს“ მტკიცედ ეპყრა ხელთ უპირატესობა და ლაბაძემ ორჯერ აიღო სტუმრები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში.

● „ახ“ (თბილისი) — „ლაითური“ (მახარაძის რაიონი) 0:0. მსაჯი ბ. ცხაკაია (თბილისი).

● „მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „ფეიქარი“ (წულუკიძე) 0:0. მსაჯი რ. გუდაძე (თბილისი).

● „კოლმეურნე“ (წალენჯიხა) — „სამცხე“ (აწყური) 1:0. მსაჯი ა. სიანოზოვი (თბილისი).

საკმაოდ უფერული თამაშის პირველი ნახევარი დამთავრდა უშედეგოდ — 0:0. შესვენების შემდეგ წალენჯიხელმა ბარქაიამ შეძლო ერთადერთი გოლის გატანა.

● „დურუჯი“ (ყვარელი) — „ნარინჯი“ (ბათუმის რაიონი) 3:2. მსაჯი ა. ჯანანაშვილი (თბილისი).

სტუმრებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს ყვარელელებს. „დურუჯი“ ორჯერ დაწინაურდა და ბათუმელებმა ორჯერვე გაათანაბრეს ანგარიში. საბოლოოდ არეშიძის გოლის წყალობით გაიმარჯვა „დურუჯმა“.

● „სინათლე“ (თბილისი) — „გარეჯი“ (საგარეჯო) 2:0. მსაჯი ზ. ნადიროვი (რუსთავი).

ტაიმი მიმდინარეობდა დაძაბულ ბრძოლაში და დამთავრდა უშედეგოდ. შესვენების შემდეგ თბილისელებმა მიაღწიეს უპირატესობას, რაც აღინიშნა გოგოლაშვილისა და კერესელიძის გოლებით.

● „კოლხეთი“ (ცხაკაია) — „სპარტაკი“ (ბორჯომი) 1:1. მსაჯი ვ. შილაკაძე (თბილისი).

ლიდერთა ჯგუფში მყოფი მოწინააღმდეგეების შეხვედრამ დიდი ინტერესი გამოიწვია და დაძაბულ ბრძოლაშიც ჩატარდა. ანგარიში 11-მეტრიანი დარტყმით გახსნეს ცხაკაიელებმა (ხუბენია), ხოლო შესვენების შემდეგ იგივე ამბავი გამეორდა მათ კართან: ბორჯომელმა პეტროსიანმა გაიტანა საპასუხო პენალტი.

● „მესხეთი“ (ახალციხე) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 1:1. მსაჯი გ. გელაშვილი (ბორჯომი).

* * *

შედგა ადრე გამოტოვებული შეხვედრები: „სამცხე“ (აწყური) — „სპარტაკი“ (ბორჯომი) 1:1, „მშენებელი“ (სიღნაღი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 2:3, „კოლხეთი“ (ცხაკაია) — „არაგვი“ (მცხეთა) 3:0, „დურუჯი“ (ყვარელი) — „ლაითური“ (მახარაძის რაიონი) 1:1. ახალციხის „მესხეთის“ წაგება ჩაეთვალა წალენჯიხის „კოლმეურნესთან“.

წარმატებით ითამაშეს „ქართლის“ ფეხბურთელებმა, რომლებმაც მოიგეს ზედიზედ 2 მატჩი: „მესხეთთან“ (4:0) და „ლაითურთან“ — 2:1.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 31 მაისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ახ (თბილისი)	15	8	6	1	32—8	22
„მეტალურგი“ (ზესტაფონი)	15	7	6	2	20—10	20
„კოლხეთი“ (ცხაკაია)	14	6	7	1	28—12	19
„სპარტაკი“ (ბორჯომი)	13	6	7	0	22—12	19
„დურუჯი“ (ყვარელი)	14	6	6	2	23—13	18
„ლოკომოტივი“ (სამტრედია)	14	6	6	2	18—12	18
„ფეიქარი“ (წულუკიძე)	15	6	6	3	20—19	18
„აერო“ (გალი)	15	7	4	4	18—17	18
ფიზკულტურის ინსტ. (თბილისი)	14	7	3	4	19—11	17
„სინათლე“ (თბილისი)	13	6	4	3	14—9	16
„სულორი“ (ვანი)	15	6	4	5	14—14	16
„მშენებელი“ (სიღნაღი)	14	4	5	5	17—21	13
„კოლმეურნე“ (წალენჯიხა)	13	4	4	5	11—20	12
„არაგვი“ (მცხეთა)	13	5	1	7	12—16	11
„ლაითური“ (მახარაძის რაიონი)	16	3	5	8	13—18	11
„ნარინჯი“ (ბათუმის რაიონი)	15	3	5	7	16—24	11
„ბარეჯი“ (საგარეჯო)	15	3	4	8	14—23	10
„ბახმარო“ (ჩოხატაური)	14	2	5	7	12—23	9
„ისანი“ (თბილისი)	15	2	5	8	10—24	9
„მესხეთი“ (ახალციხე)	11	3	2	6	9—17	8
„ქართლი“ (გორის რაიონი)	15	2	4	9	9—20	8
„სამცხე“ (აწყური)	12	1	5	6	11—15	7

I ჯგუფის II ქვეჯგუფი

I ზონა

„არაგვი“ (დუშეთი) — „შირაქი“ (წითელწყარო) 3:2, „გარისი“ (თეთრი წყარო) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 0:0, „ზემო ქართლი“ (ხაშური) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 0:0, „ბაზისუბანი“ (გურჯაანი) — „კოლმეურნე“ (მარნეული) 3:1, „შრომითი რეზერვები“ (გარდაბანი) — „ელმავალმშენი“ (თბილისი) 2:0, „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) — „ვარძია“ (ასპინძა) 3:0. ახალქალაქის „აბულს“ გამარჯვება ჩაეთვალა კასპის „განთიადთან“.

II ზონა

„რიწა“ (გუდაუთა) — „განთიადი“ (აბაშა) 1:1, „ელექტრიკოსი“ (ქუთაისი) — „კოლხეთი“ (ხობი) 1:1, „საირმე“ (მაიაკოვსკი) — „იმერეთი“ (თერჯოლა) 1:3, „მშენებელი“ (ჭიათურა) — „განახლება“ (ადიგენი) 1:9, „კოლმეურნე“ (ჩხოროწყუ) — „ჩიხურა“ (საჩხერე) 3:0, „მეშახტე“ (ტყვარჩელი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 2:2, „სალხინო“ (გეგეჭკორი) — „განთიადი“ (ტყიბული) 10:0, „სამგურალი“ (წყალტუბო) — „კოლხეთმშენი“ (ფოთი) 3:2.

„ბ“ ჯგუფი

30 მაისს შედგა მორიგი ტურის შეხვედრები „ბ“ კლასის III და IV ზონებში. ჩვენი კორესპონდენტები გვატყობინებენ:

გორიდან...

მატჩი არმავირის „ტორპედოსთან“ მასპინძლებმა საუცხოოდ ჩაატარეს — ტემპიანად, გააზრებულად, კომბინაციურად ითამაშეს. ანგარიში მე-12 წუთზე გახსნა ჯორბენაძემ, ხოლო შემდეგ ჯორბენაძე — ბურჯანაძე — კაპანაძის კომბინაციის შედეგად არმავირელთა კარი მეორედ იქნა აღებული.

კიდევ უფრო დიდი უპირატესობით ჩაატარა „დილამ“ მეორე ტაიმი. გრძელიშვილმა, ბურჯანაძემ (11-მეტრიანი დარტყმით) და კაპანაძემ საბოლოოდ მოათავეს ტორპედოელთა დამარცხების საკითხი: 5:0.

გ. გოზალიშვილი.

სოხუმიდან...

თანდათან უკეთ თამაშობს სოხუმის „დინამო“, რომელმაც ამ დღეს თავის სტადიონზე მიიღო კასპიისკის „ტრუდი“. დასაწყისში წარმოებული ორმხრივი ბრძოლის შემდეგ მასპინძლები საფუძვლიანად დაეუფლნენ საერთო ინიციატივას და „ტრუდის“ მკარე ნაუმოვს დიდი დატვირთვა დააწვა. მიუხედავად სოხუმელ თავდამსხმელთა მხრივ შექმნილი რამდენიმე სახიფათო მომენტისა, ანგარიში პირველ ტაიმში არ გახსნილა.

„ტრუდის“ ფეხბურთელები ყოველნაირად ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ საყაიმო ანგარიში. ისინი ანელებდნენ ტემპს, მინდვრის გარეთ გაჰყავდათ ბურთი და მაინც გაბარჯვება წილად ხვდათ დინამოელებს: ფლბა კარგად გავიდა მოპირდაპირე მცველთა შორის და ზუსტი დარტყმით გაიტანა გადამწყვეტი ბურთი — 1:0.

შ. ჯალაღონია.

ფოთიდან...

მატჩი თელავის „კახეთთან“ ფოთელებმა ძლიერი იერიშებით დაიწყეს. მთელი რიგი ხელსაყრელი მომენტების შემდეგ „კოლხეთმა“ შეძლო ანგარიშის გახსნა და ეს იყო ძაგანიას ლამაზი ინდივიდუალური გარღვევის შედეგი — 1:0.

„კოლხეთის“ საერთო უპირატესობით მიმდინარეობდა თამაში შესვენების შემდეგაც, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა.

ა. ლომაია.

ცხინვალიდან...

ადგილობრივი „სპარტაკისა“ და ქობულეთის „შუქურას“ მატჩი დაიწყო სტუმრების სწრაფი იერიშებით, მაგრამ ბურთის გატანის შესაძლებლობანი ვერ გამოიყენეს გაგნიძემ, შაფათავამ, ურუშაძემ, თუმასიანმა, თუმცა მეორეს მხრივ, კარგი შანსები ჰქონდათ ჯიჩოეს, გაბოძეს და გაზაევს.

ასე, ორმხრივ იერიშებში მიმდინარეობდა თამაში, რომლის დროსაც მთელი თავიანთი ოსტატობის ჩვენება დაჰრდათ მეკარეებს ქობულაძეს („შუქურა“) და შარაშენიძეს („სპარტაკი“).

90-წუთიანი ბრძოლა დამთავრდა ფრედ — 0:0.

ვ. მელქოევი.

ზუგდიდიდან...

ზუგდიდელები ახლა სრული მონდომებით იბრძვიან სატურნირო ცხრილში მდგომარეობის გამოსასწორებლად. უკვე პირველ ტაიმში დერბენტის „უროჟაის“ კართან შეიქმნა რამდენიმე სახიფათო მომენტი. მე-15 წუთზე მეკარე ბუგულოვმა აიღო ძალიან ძნელი ბურთი ბენდერავასგან. შემდეგ როგავას დარტყმა მოიგერია ძელმა.

ერთადერთი გოლი, რომელმაც „ენგურს“ მოუტანა გამარჯვება, გატანილ იქნა მეორე ტაიმში: ბატავის პასი კარგად გამოიყენა აბრალავამ — 1:0.

ბ. ალშიბაია.

რუსთავიდან...

ეს მატჩი ჭკუის სასწავლებლად უნდა იქცეს რუსთაველთათვის. ძნელია აღწერა იმისა, თუ ბურთის გატანის რამდენი რეალური მომენტი შექმნა „მეტალურგმა“ ლაბინსკის „უროჟაის“ კართან. ორივე ტაიმის განმავლობაში იცავდნენ თავს ლაბინსკელები, ხოლო რუსთავის გუნდის თავდამსხმელები ბურთს ბურთზე კარგავდნენ. საბოლოოდ, რუსთაველებმა არა თუ მოგება გაუშვეს ხელიდან, არამედ მარცხიც იწვნიეს: 90-ე წუთზე მეკარე ჩლაიძე შეცდა, რითაც დაუყოვნებლივ ისარგებლა გორდეევმა და გაიტანა გოლი „მეტალურგის“ კარში — 1:0.

რ. გაბრიჭიძე.

კომკავშირის ზეიმზე

ეარშან, 17 ოქტომბერს, თბილისში, რუსთაველის მოედანზე დაიწყო უჩვეულო ველოგადარბენა. სტარტზე მხოლოდ ორი კაცი იდგა — კასპის ცემენტის ქარხნის მზარეული ა. ხითარიძე და 17 წლის მოსწავლე ი. ბერიაშვილი. ველომრბოლელებს დიდი მანძილი ჰქონდათ გასავლელი: თბილისი — მოსკოვი. ისინი დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის ზეიმზე უნდა ჩასულიყვნენ ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში. 5 ნოემბერს, მოსკოვში, შოთა რუსთაველის ძეგლთან ხითარიძემ და ბერიაშვილმა 2300-კილომეტრიანი ტრასა დაამთავრეს. ეს იყო ქართველ ველოტურისტთა დიდი გამარჯვება. ყოველივე ამის შესახებ თავის დროზე „ლელო“ ატყობინებდა მკითხველს.

და აი, სტარტი აიღო კიდევ ერთმა დიდმა ველოგადარბენამ: 8 დუშანბელმა ველოტურისტმა გადაწყვიტა კომკავშირის 50 წლისთავის აღსანიშნავად დუშანბედან მოსკოვამდე 6000-კილომეტრიანი ტრასა გაევლო და საბჭოთა კომკავშირელთა ზეიმზე ჩასულიყო. დაიგეგმა მარშრუტი: დუშანბე — ტაშკენტი — აშხაბადი — კრასნოვოდსკი — ბაქო (კრასნოვოდსკიდან ბაქომდე გემით) — თბილისი — ბათუმი — ოდესა (ბათუმიდან ოდესამდე გემით) — მოსკოვი (უკრაინისა და რუსეთის ფედერაციის დიდი ცენტრების გავლით).

ამ ამბავმა ხითარიძის ყურამდეც მიაღწია. ნაცადმა ველოტურისტმა საქართველოს „კოლმეურნის“ ცენტრალურ საბჭოს მიმართა, მეც მსურს დუშანბეში სტარტის აღებაო. დაეხმარნენ და 8 დუშანბელთან ერთად გადარბენაში ქართველი სპორტსმენიც ჩაება.

აღსანიშნავია, რომ მონაწილეთა შორის 3 ქალია. მამაცმა ველოსიპედისტებმა დიდი და ძნელი გზა გაიარეს. გუშინწინ ისინი თბილისს ჩამოვიდნენ. ქალაქიდან კარგა მოშორებით ველოტურისტებს „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს წარმომადგენლები შეხვდნენ და დიღმის კემპინგამდე მიაცილეს. ველოსიპედისტებმა აქ ერთ დღეს შეისვენეს და ამ დროით გორის მმართველებით აიღეს გეზი. ტურისტები კასპშიც გაჩერდებიან.

ლაშქრობის 51-ე დღეს ველომრბოლელები მოსკოვის ქუჩებში გაივლიან და დედაქალაქის ახალგაზრდობას ტაკიკეთისა და საქართველოს ახალგაზრდების სალამს გადასცემენ.

ჯ. ირინაული.

* * *

სურათზე: ველოგადარბენის მონაწილენი თბილისის მისადგომებთან. მარცხნიდან პირველი — **ა. ხითარიძე.**

ფოტო ე. რუსაკოვისა.



ახალგაზრდების ზრდის ნიშნით

საქართველოში თანამედროვე ხუთჭიდის ახალგაზრდა ოსტატთა მომზადებას განსაკუთრებული ყურადღებით „დინამო“ და „სპარტაკი“ ეკიდებიან. ამ ბოლო ხანს ვეტერანებს უმეტესად სწორედ მათი აღსაზრდელები ცვლიან ნაკრებ გუნდებში.

უძლიერეს ხუთჭიდელთა წლეულს თებერვალში გამართული მატჩის შემდეგ ჭაბუკებმა ერევნის საერთაშორისო ტურნირშიც დაჯაბნეს ვეტერანები და V ადგილი დიაკავეს. რიგის ამასწინანდელ საქალაქთაშორისო შეჯიბრებაში გამოცდილი ოსტატების — სპარტაკელი ა. კრავჩენკოსა და დინამოელი ა. მარტის გვერდით ნ. ხუციშვილი („სპარტაკი“) და პ. რუბეჟანსკიც („დინამო“) ასპარეზობდნენ.

ამას წინათ თბილისის პირადი პირველობა ჩატარდა, სადაც მოზარდთა კიდევ ერთი საიმედო ჯგუფი გამოჩნდა. ეს სპორტსმენები საქართველოს უძლიერეს ხუთჭიდელთა ჩემპიონატშიც მონაწილეობდნენ, მაგრამ მაშინ მათთვის მხოლოდ საკლასიფიკაციო შეჯიბრება მოეწყო. შემდეგ „დინამოს“ ცენტრალურმა საბჭომ გამართა მოზარდთა პირველობა, ახლა კი საქალაქო შეჯიბრებიდან დაულოცეს გზა დიდ სპორტში.

10 წელზე მეტია თბილისის პირადგუნდური პირველობა მხოლოდ „დინამოს“ და „სპარტაკის“ მონაწილეობით ტარდება. ეს სპორტსაზოგადოებები იძულებული იყვნენ ორ-ორი გუნდი გამოეყვანათ სარბიელზე. ამჯერად „ბურევესტნიკმა“ ერთი კაცი გამოიყვანა — ი. კლიმენკო. ორგანიზატორებმა გუნდების რიცხვი ხელოვნურად არ გაზარდეს და მხოლოდ პირადი შეჯიბრება ჩაატარეს.

რესპუბლიკის ერთ-ერთმა საუკეთესო ხუთჭიდელმა ი. მურომცევმა უძლიერესთა მატჩში წარუმატებლობის შემდეგ საბოლოოდ მიატოვა სარბიელი. ფიქრობდნენ, რომ ჩემპიონობას მეორე ვეტერანი — კრავჩენკო მოიპოვებდა, მაგრამ ახალგაზრდებმა დიდი ბრძოლა გაუმართეს გამოცდილ ოსტატებს. ცხენოსნობასა და ფარიკაობაში შეჯიბრების შემდეგ ახალგაზრდა დინამოელი ნ. ქაჯაია დაწინაურდა, მაგრამ სროლაში ჩამორჩა მაროტის. ეს უკანასკნელი ცურვაში სამეულშიც ვერ მოხვდა, მძლეოსნობაში კი მან 0,7 წამით წააგო დინამოელ ი. ლაკტიონოვთან. მაგრამ ცურვაში 1000-ქულიან მაქსიმუმს ვერავინ მიაღწია, მძლეოსნობაში დაკარგულმა წამებმა კი ხელი ვერ შეუშალა ჩემპიონს. საბოლოოდ მაროტამ 4709 ქულა მოაგროვა. II ადგილი წილად ხვდა კრავჩენკოს — 4596, III — ლაკტიონოვს — 4483.

თ. გაჩეჩილაძე.

გთავაზობთ ტექნიკურ შედეგებს სახეობების მიხედვით: **ცხენოსნობა** — 1. ნ. ვართანოვი („დინამო“) — 2.38, 2. ი. კლიმენკო — 2.45, 3. ნ. ხუციშვილი — 2.52. **ფარიკაობა:** 1. ნ. ქაჯაია — 1032 ქულა, 2. ბ. აბესაძე („დინამო“) — 1000, 3. ა. მაროტი — 968. **სროლა:** 1. ა. მაროტი — 1022, 2. ნ. ვართანოვი 956, 3-4. ნ. ხუციშვილი, ა. კრავჩენკო — 912. **ცურვა:** 1. ნ. ქაჯაია — 4.11,3, 2. ვ. ლედნიოვი („დინამო“) — 4.12,2, 3. ა. კრავჩენკო— 4.13,3. **მძლეოსნობა:** 1. ი. ლაკტიონოვი — 14.30, 2. ა. მაროტი — 14.37, 3. ბ. აბესაძე — 14.59.

სურათზე: ა. მაროტი ასპარეზობისას.

ფოტო ავტორისა.



ამ სურათზე თქვენ ხედავთ ერთ-ერთ მომენტს ცხენოსანთა საინტერესო ასპარეზობისა, რომელიც გასულ კვირას გაიმართა თბილისის იპოდრომზე. სეზონის გახსნის დღეს აქ რამდენიმე პრიზი გათამაშდა: მოსკოვის ცენტრალური იპოდრომისა, ხარკოვის იპოდრომისა, გაზეთ „სოფლის ცხოვრებისა“ და სხვ.

დღეიდან იპოდრომზე ყოველ შაბათ-კვირას გაიმართება ცხენოსანთა მრავალფეროვანი შეჯიბრებები.

იმუშავებს ტოტალიზატორი.

დასაწყისი 13 საათზე.

გასგიმ სიტყვა შეასრულა

ლონდონი, 30 მაისი. გუშინ „უემბლის“ სტადიონზე 100 ათასმა მაყურებელმა მოიყარა თავი, რომელიც მაწმე გახდა ინგლისური კლუბის „მანჩესტერ იუნაიტედის“ ბრწყინვალე გამარჯვებისა (4:1) ლისაბონის „ბენფიკასთან“ ფინალურ მატჩში ევროპის ჭეშმარიტთა თასზე.

10 წლის წინათ მომხდარი საავიაციო კატასტროფის შედეგად ინგლისის გუნდში, რომელიც მაშინაც გთამაშობის ფავორიტად ითვლებოდა, მხოლოდ სამი კაცი გადარჩა — მწვრთნელი მ. ბასბი, თავდამსხმელი ბ. ჩარლტონი და მცველი ფოულქსი. ინგლისელთა მწვრთნელმა მაშინვე დაიფიცა, რომ კლუბს მანამ არ დაანებებდა თავს, სანამ ევროპის ჭეშმარიტ ჩემპიონთა თასში არ მოიპოვებინებდა პირველობას. და აი, ბასბიმ სიტყვა შეასრულა — ინგლისელებმა კვლავ მოიხვეჭეს კონტინენტის საუკეთესო სალუსტო გუნდის სახელი.

თამაში უაღრესად მძაფრ და საინტერესო ბრძოლაში მიმდინარეობდა. პირველ ტაიმში ანგარიში არ გახსნილა, ხოლო ძირითადი დრო რომ ამოიწურა, ტაბლოზე 2 ერთიანი იყო.

სიტყვის შესრულებაში ბასბის ინგლისური ფეხბურთის ეროვნული გმირი, ბ. ჩარლტონი დაეხმარა: მან 53-ე წუთზე გახსნა ანგარიში, ხოლო მეოთხე, საბოლოო ბურთი 99-ე წუთზე გაიტანა.

„შავი მარგალიტი“ — ეუსებიო ამ მატჩში არ ბრწყინავდა: იგი შეხვდა ამ პორტუგალიელის მეურვეობის საუკეთესო „სპეციალისტმა“ სტაილსმა. ერთადერთი, რაც პორტუგალიელებმა შეძლეს, ეს იყო გრასას გოლი 79-ე წუთზე.

დამატებით დროში ინგლისელთა უკეთესმა ფიზიკურმა მომზადებამ და მტკიცე ნებისყოფამ გუნდს ესოდენ სანუკვარი გამარჯვება მოუტანა. ჩარლტონის გარდა ბურთები გაიტანეს: 93-ე წუთზე ბესტმა და 95-ე წუთზე — კიდმა.

„მეხუთე ოკეანის“ ტალღებზე

ოტრიოლი, 30 მაისი. დოსაფის პლანერისტებმა 500-კილომეტრიანი სამკუთხა დახშული მარშრუტით ფრენის დროს სიჩქარის ერთი მსოფლიო და სამი საკავშირო რეკორდი დაამყარეს. თ. ზაგაინოვამ „ბლანიკით“ (მგზავრთან ერთად) საშუალო სიჩქარედ საათში 69 კმ უჩვენა — ეს მსოფლიო მიღწევაა ქალთა შორის. მეუღლის მაგალითს მიბაძა ვ. ზაგაინოვმაც: ერთადგილიანი პლანერით „ა-15“ მან ისე დაფარა სამკუთხედი, რომ საათში 80 კილომეტრს უჩვენებდა. ეს საკავშირო მიღწევაა.

ა. კოვალმა „ბლანიკით“ (მგზავრთან ერთად) საკავშირო რეკორდს მიაღწია — საათში 72 კმ.

„ბლანიკის“ ერთადგილიანი ვარიანტით ქალთა საკავშირო რეკორდი დაამყარა მედიცინის დამ, სპორტსმენმა-პლანერისტმა ლ. კოროვინამ. მისი ფრენის საშუალო სიჩქარე საათში 63 კმ იყო.

სპორტი მიმოხილვა



◆ **ლონდონი,** 31 მაისი. ინგლისის ველოტურის V ეტაპი ბოიგო ირლანდიელმა პ. დოიერმა, რომელმაც კარდიფიდან აბერისტუიტამდე 205 კმ 5 საათში, 18 წუთსა და 53 წამში დაფარა. მეწინავე ჯგუფში ფინიშზე მეოთხე იყო ომსკელი ვ. სოკოლოვი, რომელიც 5 ეტაპის ჯამში II ადგილზე გადავიდა—21:55.03. რბოლის უცვლელ ლიდერს — შვედ გ. პეტერსონს იგი 6 წუთითა და 20 წამით ჩამორჩება. გუნდურ ჩათვლაში საბჭოთა მრბოლელები IV ადგილზე არიან — 65:43.36. რბოლის ლიდერებს — ძმებს პ. და თ. პეტერსონებს ისინი დაახლოებით 10 წუთით ჩამორჩებიან. პირად ჩათვლაში ლიპეცკელი ნ. ფადეევი VII ადგილზეა. უარესად გამოდიან ლენინგრადელი ვ. ბელკოვიჩი (23-ე ადგილი), ტამკენტელი ი. პომინოვი (38), ტარტუელი ი. კლაასეპი (43), კიშინიოველი ი. პოლუსანოვი (49).

◆ **ლა-ლუვიერი** (ბელგია), 31 მაისი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასს პირველად დაეუფლნენ ბრნოს „სპარტაკის“ ფრენბურთელი ვაუები. აქ გამართულ მესამე, დამატებით მატჩში ჩეხოსლოვაკიელებმა დაამარცხეს ამ პრიზის ორგზის პატრონი — ბუქარესტის „დინამო“ — 3:2 (15:13, 12:15, 19:17, 13:15, 15:11). გაგახსენებთ, რომ ამ პრიზს ფლობდნენ: მოსკოვის ცსკა (1960 და 1962 წ. წ.), ბუქარესტის „რაპიდი“ (1961, 1963 და 1965 წ. წ.), გდრ-ის „ლაიპციგი“ (1964 წ.) და ბუქარესტის „დინამო“ (1966 და 1967 წ. წ.). წლევანდელ გათამაშებაში საბჭოთა ფრენბურთელები არ მონაწილეობდნენ.

◆ **პარიზი,** 31 მაისი. მოსკოველმა ჩოგბურთელებმა გ. ბაშეევამ და ა. დმიტრიევამ წარმატებით განვლეს აქ მიმდინარე საფრანგეთის ღია ჩემპიონატის მეორე წრე. პირველმა დაამარცხა ი. ბუდინგი (გფრ) — 6:2, 6:2, ხოლო მეორემ — ასევე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წარმომადგენელი კ. შედივი — 2:6, 6:3, 8:6. ახალგაზრდა ნიჭიერმა მოსკოველმა ჩოგბურთელმა ო. მოროზოვამ წააგო შეხვედრა ძლიერ ავსტრალიელ კ. კრანცკესთან — 3:6, 6:4, 4:6.

◆ **ბერლინი,** 31 მაისი. აქ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ახალი რეკორდი დაამყარა 20 წლის რაინჰარდ ტაიმერმა, რომელმაც ურო 69,14 მეტრზე ტყორცნა. ძველი რეკორდი, რომელიც 32 სანტიმეტრით უარესი იყო, ერთი თვე არ არის, რაც დამყარდა — 4 მაისს. ახალგაზრდა სპორტსმენი ძალიან სწრაფად იმაღლებს ოსტატობას. წლევანდელი სეზონის დაწყებიდან მან თითქმის 2 მეტრით გააუჯობესა პირადი რეკორდი.

◆ **ნეშატელი** (შვეიცარია), 31 მაისი. აფროსანთა მსოფლიო პირველობაზე „5,5“ კლასში საბჭოთა ეკიპაჟი (მესაჭე კ. ალექსანდროვი) ლიდერობას განაგრძობს: 5 რბოლის შემდეგ მას 11,9 ქულა აქვს. ჯერჯერობით II ადგილზეა შვეიცარიელების ნავი (მესაჭე ნოვერაზი) — 14,6 ქულა. ასპარეზობის მესამე დღეს კვლავ ორი რბოლა გაიმართა. პირველ რბოლაში საბჭოთა ეკიპაჟმა V ადგილი დაიკავა, მეორეში კი — IV. ამან შესაძლებლობა მისცა მოსკოველებს შეენარჩუნებინათ სალიდერო მდგომარეობა ყველა დღის ჯამში. წინაა კიდევ ორი რბოლა.

ოლიმპიური კალეიდოსკოპი

პრაღა, 30 მაისი. როგორც ჩეკ-ს სააგენტო იუწყება, მექსიკის ოლიმპიურ თამაშებში ჩეხოსლოვაკია 109 სპორტსმენს გაგზავნის. ამ ქვეყნის წარმომადგენლები იასპარეზებენ მძლეოსნობაში, ტანვარჯიშში, ველოსპორტში, ცურვაში, წყალში ხტომაში, ნიჩბოსნობაში და სხვა სახეობებში.

პარა 30 მაისი. განამ გადაწყვიტა მიიღოს მონაწილეობა მექსიკოს XIX ოლიმპიურ თამაშებში. როგორც ქვეყნის სპორტული საბჭოს წარმომადგენელმა აქ განაცხადა, მალე განელი მოკრივეები და მძლეოსნები კენიას გაემგზავრებიან მაღალმთიანეთის პირობებში წინაოლიმპიური სამზადისის ჩასატარებლად.

მეხიკო, 30 მაისი. მომავალი ოლიმპიადის სტუმრებმა სტადიონებიდან ტელეფონით ცხელ-ცხელი ამბების გასაგებად საკმარისია აკრიფონ ნომერი 07. გარდა ამისა, ისინი ტელეფონით შეიტყობენ ოლიმპიური ხელოვნების ფესტივალის საინტერესო მოვლენების ადგილსა და ვადებს.

• • •

ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორებმა მიიღეს ეთიოპიის ოლიმპიური კომიტეტის ოფიციალური ცნობა, რომ რომისა და ტოკიოს ოლიმპიადების ოქროს მედლების მფლობელი მარათონულ რბენაში აბებე ბიკილა XIX თამაშებშიც მიიღებს მონაწილეობას.

ᲥᲐᲚᲘ ᲥᲐᲯᲘᲚ

● **მინსკი,** 30 მაისი. მოსკოვში ასპარეზობის შემდეგ წყალში ხტომელებმა ბელორუსიის დედაქალაქში გადმოინაცვლეს. და აქაც ტრამპლინიდან ხტომაში მოასპარეზე ვაუებში ტოლი არ ჰყავდათ იტალიელებს ფ. კანიოტოსა და კ. დიბიასის. საბჭოთა სპორტსმენთაგან საუკეთესო — თბილისელი ბ. პოლულიანი მეოთხე იყო. არ გაუმართლა მოსკოვის ასპარეზობაში გამარჯვებულ ნ. ლობანოვას, რომელიც კომკიდან ხტომელთა შორის II ადგილით დაკმაყოფილდა. აქ ყველას აჯობა ი. პერტმაიერმა (ავსტრია).

● **ერფურტი,** 30 მაისი. 19 წლის დიტერ ფრომმა (გდრ) ამ ქალაქში გამართულ შეჯიბრებაში 800 მეტრი 1 წუთსა და 47 წამში გაირბინა. ეს იუნიორთა ახალი მსოფლიო მიღწევაა. II ადგილზე დარჩა ევროპის ჩემპიონი მანფრედ მატუშევსკი — 1.47,9.

● **ვენა,** 30 მაისი. იუგოსლავიის ქალაქ ლიუბლიანის ყინულის სასახლე „ტივოლი“ ფიგურულ ციგურაობაში მსოფლიოს 1970 წლის ჩემპიონატის სარბიელი იქნება. ასე გადაწყვიტა მოციგურავეთა საერთაშორისო კავშირის (ისუ) აქ გამართულმა სხდომამ.

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმში

პრეზიდიუმმა განიხილა ფედერაციის თავმჯდომარის ლ. ნიკონოვის თხოვნა თავმჯდომარის მოვალეობისაგან მისი განთავისუფლების თაობაზე. პრეზიდიუმმა დაკმაყოფილა ნიკონოვის თხოვნა და სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება დაავალა ვ. გრანატკინს.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.